MES 0 23 0000178356

15/02/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.02.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის თავმჯდომარე: გურანდა ჭელიძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^{2}-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

9. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. **გურანდა ჭელიძე -** შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი;
12. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
13. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	**ნინო ალავიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	მაკა ბერიძე	**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის**	რექტორი	I

2.	ნინო მილაშვილი	**სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3.	მერაბ ბერიძე		"ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და სადოქტორო, "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	I
4.	ნესტან სულავა		"ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
5	მაია ქუქჩიშვილი		განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
6	შალვა ჭკადუა	**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	რექტორი	II
7	ნუნუ გელდიაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	II
8	სალომე თათულიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
9	ცისანა მოდებაძე		ასოც. პროფ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
10	შორენა ლაზვიაშვილი		ასოც.პროფესორი,ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	ნინო გიორგაძე		ასოცირებული პროფესორი,ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი	II
12	ნინო გოგიაშვილი		ასოცირებული პროფესორი	II
13	შორენა წიგნაძე		ასისტენტ-პროფესორი	II
		შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტი		
14	ზაზა რუხაძე			III
15	ქეთევან ჯინჭარაძე			III
16	თეა კორძაძე			IV, V

		სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
17	დავით გეგეჭკორი		პროგრამების ხელმძღვანელი	IV,V
18	დავით წასიძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
19	ნიკა გიგაური		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	VI
20	ნანა მაჭარაშვილი		საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი; GIPA-ს კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.	VI
21	ნათია ჭიღვარია		საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი;	VI
22	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;	VII
23	თეა კბილცხელაშვილი		ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	VII
24	ბაია ივანეიშვილი		საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი	VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გეორგ ქრისტიან შუპანერი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
2	თამარ ჩოკორაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	ნინო პოპიაშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ზაალ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ეკატერინე ფიფია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

9	ანა ყიასაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, ,,ქართველური ენათმეცნიერების", "ქართული ლიტერატურის", "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების", "ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის", "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და სადოქტორო, "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4.შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7.ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8.შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, ,,ქართველური ენათმეცნიერების", "ქართული ლიტერატურის", "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების", "ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის", "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის 2023 წლის 15 თებერვლის საბჭოზე სხდომაზე განსახილველად გადადების შესახებ, რადგან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქართულ ენაზე წარმოდგენილი არ იყო. ხოლო მე-4 და მე-5 საკითხების, რომლებიც ეხება - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვასა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშების პირველ და მეორე საკითხებად განსახილველად გადანაცვლების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და სადოქტორო, "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5.შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6.ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7.შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები (International Relations)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		№20688; 14.01.2022

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (BA in International Relations)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის №59, 4600, ქუთაისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია ზედმიწევნით შეასრულა.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა სილაბუსში ლიტერატურის გვერდების მითითების თაობაზე და განმარტა, რომ უნივერსიტეტში მსგავსი რამ არ არის მიღებული. ამასთან პროგრამის ხელმძღვანელს არ მიაჩნია სწორად რომ სტუდენტს სილაბუსში მიეთითოს

გვერდები, ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობები არის ისეთი დარგი სადაც ერთი კონკრეტული ლიტერატურა არ არის მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა დასკვნაში მოცემულია მე-6 რეკომენდაცია რომელიც ექსპერტთა მიერ შეფასებულია როგორც მეტწილად შესრულებული, შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ვინაიდან სასწავლო კურსი ,,მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები" არ ფარავს თავად კურსის შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ თემები სილაბუსს დაემატა ცალკე საკითხია თუ რამდენად მოდის აღნიშნული შესაბამისობაში თავად კონტექსტთან. ამასთან, დასკვნაში მოცემული იყო რეკომენდაცია, სასწავლო კურსებში ლიტერატურის გამდიდრებასთან დაკავშირებით, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციის გათვალისწინებით აკადემიურმა პერსონალმა სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები", „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა", „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი"; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები"; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული", „შესავალი შედარებით პოლიტიკაში"; „პროფესიული პრაქტიკა" განახორციელა შინაარსობრივი ცვლილებები და ის შესაბამისობაში მოვიდა კურსის სახელწოდებასთან. თუმცა როდესაც საქმე ეხება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკას, მხოლოდ თეორიული საკითხები განხილვა, პრაქტიკული ქეისების გარეშე ცოტა მიუღებელია, თუმცა რეკომენდაციის შესაბამისად, ძირითადი აქცენტები გაკეთდა თეორიულ ნაწილზე. ასევე მიგრაციის მიმართულებით აქტიურად მოხდა თემების დამატება.

რაც შეეხება მემორანდუმების საკითხს, მემორანდუმი არის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მხარეებს შორის თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები. ადგილობრივი თვთმმართველობის დონეზე განისაზღვრა სტუდენტთა რაოდენობა და მემორანდუმის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობა მზადაა მიიღოს სტუდენტები. თუმცა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის გამო მოხდა მათი სხვადასხვა კომიტეტებში გადანაწილება.

მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაციის გათვალისწინებით გადაიხედა სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა და მოხდა მათი განახლება. აწსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელებისას ერთ-ერთი საკითხი სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის გადახედვაა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება. სილაბუსის ავტორს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს სასურველი ცვლილებები სილაბუსში შესაბამისი არგუმენტაციით, მათ შორის ლიტერატურასთან დაკავშირებული, და ფაკულტეტის საბჭოზე განიხილვა/დამტკიცების შემდეგ ყოველი ცვლილება აისახება სილაბუსში. ფაკულტეტის ადმინისტრაცია აწსუ-ს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან ერთად მუდმივად ახორციელებს სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების, მათ შორის სავალდებულო ლიტერატურის განახლებას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არ არის კონკრეტული სახელმძღვანელოები, მითითებულია რამდენიმე პერმანენტული ნაშრომი. დაწესებულება აქტიურად მუშაობს ლიტერატურის განახლების კუთხით იმ სასწავლო კურსებთან მიმართებით სადაც მოცემულის განხორციელება შესაძლებელია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დააყენოს ცენტრთან შუამდგომლობა 60 კალენდარული დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად და მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსების („საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები"; „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა"; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი"; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები"; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული", „შესავალი შედარებით პოლიტიკაში"; „პროფესიული პრაქტიკა") შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სახელწოდებებთან.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს, განახლდეს და მიეთითოს პროგრამის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა (მათ შორის განსახილველ თემებთან მიმართებით).
- მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციებს პრაქტიკის უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის სავარაუდო ხანგრძლივობა და დანიშნულება.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 22111, 14.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო

		პოლოტიკის მაგისტრი (MA in Diplomacy and International Politics)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის №59, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და განმარტა, რომ დასკვნაში მოცემული იყო გარკვეული ტექნიკური ხარვეზები და დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა შესრულებული. აღნიშნული ეხებოდა მე-7 და მე-8 რეკომენდაციას, რის საპასუხოდაც დაწესებულებამ დამატებით გადმოაგზავნა განახლებული სილაბუსები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:00
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დააყენოს ცენტრთან შუამდგომლობა 60 კალენდარული დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად და მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სფეროს სპეციფიკისა და სწავლების დონის გათვალისწინებით გადაიხედოს და განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი: „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები", „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო", „საგარეო პოლიტიკის ანალიზი", „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი", „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა".
- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიების გამოყენებით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით (მაგ. პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების ვებგვერდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, ვებგვერდები სადაც განთავსებულია სხვადასხვა კანონმდებლობა, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, მედია აუთლეტები და სხვ.) და სილაბუსის თითოეულ თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით და თემების შესაბამისად.

3. **მესამე საკითხი:** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და სადოქტორო, ,,ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია / Georgian Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 391; 13.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა/Bachelor's Programme of Georgian Philology
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI

9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში / Bachelor of Arts in Georgian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. 119. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა/Doctoral Program of Georgian Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 299; 02.12.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა/Doctoral Program of Georgian Philology
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის დოქტორი/Doctor of Georgian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113

		უნივერსიტეტის I კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა/Master's Program of Philology in Kartvelian Linguistics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 397; 13.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა/Master's Program of Philology in Kartvelian Linguistics
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი/ Master of Philology in Kartvelian Linguistics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა / Master's Program in History of Georgian Literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 395; 13.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა/ Master's Program in History of Georgian Literature
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი / Master in History of Georgian Literature
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კლასტერი შედგება ჩამოთვლილი პროგრამებისგან: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ფილოლოგიის სამაგიტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა. ეს პროგრამები ეკუთვნის ფილოლოგიის დარგს და შინაარსობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ისინი ნაწილობრივ ერთმანეთს ეფუძნება და ასევე ფორმალურად კარგად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ასევე ეხება რესურსებსა და სასწავლო პერსონალსაც. ამ პროგრამების კლასტერში გაერთიანებით, მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებელი იქმნება. კერძოდ, მნიშვნელოვანია რეგიონული სპეციფიურობა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც კლასტერისთვის, ასევე ინდივიდუალურად პროგრამებისთვის. ამ მხრივ, კლასტერის ფორმირება ასახავს შინაარსობრივ, ფორმალურ და რეგიონულ ასპექტებს.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიღეს მკაფიო სურათი კლასტერის ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი დაწესებულებების შესახებ. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ კლასტერთან დაკავშირებულ პირებს, მათ შორის სტუდენტებს. ზოგადად, ვიზიტმა უზრუნველყო იმის მტკიცებულება, რომ უსდ-ს აქვს სათანადო ხარისხის აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა. დისკუსიებმა კი მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია კლასტერის თითქმის ყველა დეტალზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თანხმდებიან, რომ კლასტერის უმეტესი ნაწილი შესაბამისობაშია სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. თუმცა, ვლინდება გარკვეული სისუსტეები, ზოგიერთ ქვესფეროებში. მიუხედავად ამისა, ყველა მიმართულებით არსებობს მტკიცე საფუძველი, რაც სათანადო საყრდენს ქმნის კლასტერში შემავალი პროგრამებისთვის. ფორმალური კუთხით არსებული სტანდარტების მიღმა, კლასტერს არაერთი ძლიერი მხარე აქვს, რაც კონკრეტულად ეხება რეგიონულ სპეციფიკას და პროგრამების კავშირს. ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე რეაგირება რეალისტურია, რამდენადაც კლასტერს აქვს მტკიცე საწყისი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნე რეკომენდაციები როგორც სრულიად კლასტერის, ასევე ცა-ცალკე პროგრამები მიმართ. ამასთან განისაზღვრა რჩევებიც.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის " სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.
2. კურსის სათაურები და შინაარსი უნდა შესწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
3. რეკომენდებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომლებიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის; სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არსებობდეს არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერში არსებული პროგრამებისთვის).
4. რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.
5. რეკომენდებულია, გამრავალფეროვნდეს საბიუჯეტო შემოსავლები კლასტერში გაერთიანებული ოთხივე პროგრამის შემთხვევაში (მაგალითად, ადგილობრივი ან

საერთაშორისო კვლევითი პროექტებით ან ეროვნული/რეგიონული კერძო სექტორის პარტნიორებთან თანამშრომლობით).

6. რეკომენდებულია, რომ სტუდენტურ აქტივობებთან (ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; სტუდენტური პროექტები და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები გაიზარდოს კლასტერში გაერთიანებულ ოთხივე პროგრამაზე.
7. რეკომენდებულია, რომ ბიუჯეტი დაიგეგმოს შემოსავლების შესაბამისად; იმ შემთხვევაში თუკი თანხები არ არის საკმარისი, ნათლად უნდა იყოს დასაბუთებული თუ რა დონეზე გეგმავს დაწესებულება პროგრამების დაფინანსებას და რამდენი ხნით.
8. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
9. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
10. რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
11. რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა რეკომენდაცია სასწავლო კურსების სათაურებთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს, რომ კურსის სათაურები და შინაარსი უნდა შესწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. აღნიშნული ჩანაწერი ცოტა ბუნდოვანია, ვინაიდან ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო კურსის სათაურებს და მითუმეტეს შინაარსებს არ მოიცავს, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განმარტებისკენ. ასევე საბჭოს წევრმა გამოყო რეკომენდაცია ტერმინოლოგიის განმარტებასთან დაკავშირებთ სადაც ასევე ნახსენები იყო ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს განმარტება ცალკეულ ქართველურ ენებთან დაკავშირებთ, რასთან მიმართებითაც საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია -კურსის სათაურები და შინაარსი უნდა შესწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, არის მოცემული არა კონკრეტულად ერთი პროგრამის არამედ კლასტერის მიმართ, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ თუ კონკრეტულად რას გულისხმობს მოცემული რეკომენდაცია. ამასთან საინტერესოა თუ როგორ დაინახა ინსტიტუციამ მოცემული რეკომენდაცია და როგორ აპირებს მის შესრულება.

ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა რეკომენდაცია, რომელიც ეხება ქართული ენის ისტორიის სამაგისტრო პროგრამას, კერძოდ, რეკომენდირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრუქტური გამიჯვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასწავლო კურსების დუბლირება. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა, დუბლირება ეხება სწავლების მეთოდებსა და შეფასებებსაც, თუ მხოლოდ სასწავლო კურსების სათაურებთან არის დაკავშირებული.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ისაუბრა სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით, კერძოდ განმარტა, რომ სასწავლო კომპონენტში საკმაოდ მნიშვნელოვანია საკითხები, როგორიცაა მაგალითად კვლევის მეთოდები, განსაზღვრულია არჩევით ბლოკში, რაც შეეხება სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, იქ მხოლოდ პროფესორის ასისტენტობა და სწავლების თანამედროვე მეთოდებია, რომლებიც დოქტორანტს ეხმარება მომავალი აკადემიური პედაგოგიური საქმიანობისთვის, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ. ამასთან, პროგრამის აღწერით ნაწილში განსაზღვრულია კვლევის ეტაპები ექვს ნაწილად, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულებას დაზუსტებისკენ, ვინაიდან არ არის მოცემული თუ როდის ხდება თემის შერჩევა და როგორც მიმდინარეობს სხვა ეტაპი, ასევე იქნება თუ არა დოქტორანტი მზად აღნიშნული განახორციელოს პირველივე სემესტრიდან. ამასთან, მიღების წინაპირობებში მოცემულია მხოლოდ ზეპირი გამოცდა, თუმცა არ არის საუბარი იმაზე, რომ დოქტორანტმა რაიმე კვლევითი გეგმა ან პროექტი უნდა წარადგინოს.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რამდენად ფარავს წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაგალითად როგორი სიხშირით ფინანსდება დოქტორანტთა სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა დისერტაციაზე მუშაობის საკითხი, კერძოდ როგორც პროგრამაშია აღნიშნული, დოქტორანტს შეუძლია დაიწყოს ნაშრომზე მუშაობა პირველივე სემესტრიდან, მაშინ როცა კვლევის მეთოდები განსაზღვრულია არჩევით სასწავლ კურსის სახით. გამომდინარე აქედან, ის სტუდენტები, რომლებიც საჭიროებენ აღნიშნული კურსის გავლას როგორ იწყებენ დისერტაციაზე მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო ის, რომ სასწავლო კურსის სახელწოდებები არ იყო ნათელი და რთული იყო დადგენა იმისა, თუ რამდენად შეესაბამებოდა კურსის შინაარსი მის სახელწოდებას. რაც შეეხება ტერმინოლოგიის საკითხს, რეკომენდაციის გამომწვევ მიზეზი იყო ის, რომ სილაბუსები არ იყო ჩამოყალიბებული დადგენილი სტანდარტისა და სტანდარტული ენის შესაბამისად, რასთან დაკავშირებითაც შენიშვნები ჰქონდათ ადგილობრივ ექსპერტებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ეხება არა კლასტერს არამედ სამაგისტრო პროგრამას ,,ქართველურ ენათმეცნიერებაში“, სადაც არ ჩანს რომ ისწავლება ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ენები, აღნიშნული საკითი და თემატიკა ასევე არ არის ნახსენები სასწავლო კურსების სახელწოდებებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პროგრამაში არ არის ქართული ენის გრამატიკა. ვიზიტის დროს დაწესებულება მოცემულ მოსაზრებას არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ პროგრამაში ქართული ენის გრამატიკა ისწავლებოდა, თუმცა შემდგომ მათი პასუხის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებმა ქართული ენის გრამატიკა ისწავლეს საბაკალავრო დონეზე, შესაბამისად სამაგისტრო დონეზე სწავლება აღარ არის საჭირო. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით განისაზღვრა რომ მახასიათებლის მიხედვით მკვეთრად უნდა იყოს წარმოჩენილი რომ საუბარია ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ენების შესახებ. აღნიშნული საკითხები ეხება მხოლოდ ,,ქართველური ენათმეცნიერებების'' სამაგისტრო პროგრამას და ისიც ნაწილობრივ და არა მთლიანად.

დუბლირებასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ ეხებოდა სილაბუსის საკითხებს, არა მხოლოდ სათაურების, არამედ მასალებისა და ლიტერატურის დონეზე რაც კლასტერის ფარგლებში კიდევ უფრო კარგად იკვეთება. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დასვეს კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა პასუხი იყო ის, რომ ისინი უფრო სიღრმისეულად ასწავლიან ამ კონკრეტულ სილაბუსს მომდევნო ეტაპზე, მაგრამ თავად სტუდენტთა გამოკითხვისა და მასალების გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ პროგრამის ფარგლებში ნამდვილად იყო დუბლირებები.

რაც შეეხება კლასტერულ რეკომენდაციებს, ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული გაცემული იყო ერთ მხრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, ხოლო მეორე მხრივ ფილოლოგიის უმაღლესი მახასიათებლების სრული გათვალისწინებთ და შესაბამისად. მოცემული საკითხი ეხებოდა როგორც ქართველური ენათმეცნიერებების სამაგისტრო, ასევე ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. რაც შეეხება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება კოდები, რომლებიც მინიჭებული აქვს ფილოლოგებს, მშობლიური ენის მიმართულებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ სრულად მიყვეს მოთხოვნებს ამ მიმართულებით. რეკომენდაციაში იგულისხმება დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციები, საიდანაც შემდგომში უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო კურსების სახელები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს. საკითხთან დაკავშრებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი იზიარებს შეხედულებას, რომ ქართველური ენები ეს არის, ქართული ენა, შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება ქართული ენის არსებობის საკითხი. ამასთან, არსებობს მეგრულ-ლაზური ენა და სვანური ენა. იმ შემთხვევაში, თუ საუბარია გასწორებაზე, ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობს, რომ სათაური იყოს არა მეგრულ-ლაზური გრამატიკა, არამედ მეგრულ ლაზური ენის გრამატიკა. თუმცა, რა თქმა უნდა აღიშნული საკითხი სრულიად იქნება გამოსწორებული დაწესებულების მიერ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არ თვლის რომ სახეზეა გადაფარვა სასწავლო კურსებს შორის, დაწესებულება კიდევ უფრო კრიტიკულად მიუდგება ამ საკითხს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა რომ ინსტიტუცია უკვე რეკომენდაციების შესრულების პროცესში და შესაბამისად ასახული იქნება ყველა საჭირო და აუცილებელი ცვლილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ მიება ხორციელდება საკმაოდ ზედმიწევნით გაწერილი პირობების მიხედვით, კერძოდ პირველი ეს არის ინგლისური ენის გამოცდა, ხოლო მეორე და ასევე აუცილებელი კომპონენტია კვლევითი განაცხადის განხილვა. როგორც დოკუმენტშია მოცემულია, კვლევით განაცხადს აქვს საკმაოდ ჩამოყალიბებული და დეტალურად განსაზღვრული პირობები. ამის შემდგომ კი განსაზღვრულია სპეციალობის გამოცდა, შესაბამისად კვლევითი განაცხადი და სპეციალობის გამოცდა განიხილება როგორც მიღების წინაპირობა მოცემულ პროგრამაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირველივე სემესტრში ინიშნება სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი და განისაზღვრება თემა , ხოლო შემდგომ კი სტუდენტი გადის სხვადასხვა ეტაპებს. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს უწევს 6 პრეზენტაციის, რაც საკმაოდ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს დოქტორანტისთვის.

რაც შეეხება მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში განსაზღვრას, აღნიშნული გამომდინარეობს სწორედ რომ კლასტერიდან. დაწესებულება, აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს სწავლებას იწყებს საბაკალავრო პროგრამიდან, შესაბამისად, უკვე საბაკალავრო პროგრამაში განსაზღვრულია კვლების მეთოდები, მათ შრის საველე კვლევის მეთოდები. მაგისტრატურაში ასევე ცალკეა ლინგვისტური კვლევის მეთოდები და კვლევის მეთოდები მაგისტრანტებისთვის განსაზღვრული სავალდებულო კურსად. ხოლო რაც შეეხება დოქტორანტურას, გათვალისწინებული იქნა ის შემთხვევა თუ პროგრამაზე მოვა დაწესებულების კურსდამთავრებული და მას კვლევის მეთოდების ძირითადი საფუძვლები გავლილი აქვს, ხოლო თუ არა სტუდენტს შეუძლია მოცემულ სასწავლო კურსებს კიდე დაეუფლოს ან თავიდან შეისწავლოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა, თუმცა დაწესებულებ მუდმივად ცდილობს სტუდენტებს შეუწყოს ხელი. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისას დაწესებულებას აქვს თანადაფინანსება. ამასთან უნივერსიტეტის სრულად აფინანსებს საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილეობას.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავდაპირველ ეტაპზე ზუსტდება კვლევითი პროექტი, რომელიც დოქტორანტმა წარადგინა კვლევითი განაცხადოს დროს. საკითხები დეტალურად ზუსტდება ნაშრომის ხელმძღვანელთან. რეალურად, კვლევითი განაცხადის გადახედვა-დახვეწა ხდება თავდაპირველ ეტაპზე, ხოლო პარალელურად სწავლობს იმ სასწავლო კურსებს რომელიც მისთვის საჭირო და აუცილებელია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 17:47
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თეორიის ძირითადი
- ასპექტების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში.
- სწავლის შედეგების გაზომვადობა და მათი გადამოწმების შესაძლებლობა უფრო მკაფიო უნდა გახდეს.

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ქართული ლიტერატურის ბლოკში, თანამედროვე თეორიები და მიდგომები უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- სასწავლო კურსებზე უნდა გამოსწორდეს მრავალმხრივი ტექნიკური ხარვეზები: გამოიყოს სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა, ლიტერატურის ნუსხაში მიეთითოს სასწავლო კურსების თემებში მითითებული ნაშრომები. სილაბუსებში მიუთითეთ სასწავლო ლიტერატურის შესაბამისი ბმულები.
- რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის).
- რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.
- რეკომენდებულია ბიუჯეტში თანხის გაზრდა ბიბლიოთეკაში საინფორმაციო რესურსების განახლებისთვის, როგორც წიგნების, ასევე აკადემიური ბაზებისთვის, ან სხვა სერვისებისთვის.
- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
- რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

რჩევები:

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.
- უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება.
- დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.
- სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
- სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.

- უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა;
- ჟურნალი „გულანი“, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.
- აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.
- კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.
- სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.
- საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული შეფასება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართებით, კერძოდ 1.5. და .2.1 კომპონენტების შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა, როგორც “ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან”, ხოლო 2.2. კომპონენტის შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა “ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, რის საფუძველზეც შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და გახდა “მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან”.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე მონიტორინგის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე მონიტორინგის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის კომპონენტის ასახვა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის შედეგებში.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.

- კვლევების ხელშეწყობის და ახალი ცოდნის მიღების მიზნით რეკომენდებულია სასწავლო კომპონენტში სავალდებულო ბლოკი გაძლიერდეს ლიტერატურათმოცდნეობისა და ლინგვისტიკის მიმართულებით კვლევის მეთოდების საკითხებით, ასევე ყურადღება მიექცეს სამეცნიერო წერის მეთოდების საკითხებს.

- განისაზღვროს რუსული ენის სტატუსი პროგრამისა და/ან სილაბუსების წინაპირობის დონეზე ან მოხდეს სილაბუსებიდან იმ ლიტერატურის ამოღება, რომლის წაკითხვას სტუდენტები ენის არცოდნის გამო ვერ მოახერხებენ.
- მოხდეს მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობების დარგობრივი საბაზისო ცოდნის აუცილებლობიდან გამომდინარე.
- კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).

- რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის დაწყების ვადად განისაზღვროს სასწავლო კომპონენტის დასრულებისას.
- რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის).
- რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავოს და განახორციელოს დოქტორანტების ტრენინგ მოდულები საცნობარო მართვის სისტემების გამოყენებაში; საკონფერენციო ნაშრომების შედგენაში; კვლევითი ნაშრომის სტრუქტურირებაში და ა.შ. (ანუ აკადემიური წერის საუკეთესო პრაქტიკა).
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავოს და განახორციელოს დოქტორანტების ტრენინგ მოდულები საცნობარო მართვის სისტემების გამოყენებაში; საკონფერენციო ნაშრომების შედგენაში; კვლევითი ნაშრომის სტრუქტურირებაში და ა.შ. (ანუ აკადემიური წერის საუკეთესო პრაქტიკა).
- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი ისე, რომ შეიტანოს სტუდენტების სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული ხარჯები (საჭიროებისამებრ).
- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
- რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

რჩევები:

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.
- დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში ინტეგრაციის გზით, სწავლის შედეგების ინტერნაციონალიზაციის და კვლევის უნარების განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება სულ უფრო მეტად შეიძლება.
- უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება.
- დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.
- სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
- სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.

- უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. მ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.
- ჟურნალი „გულანი“, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.
- შესაძლებელია საერთაშორისო კარიერული პერსპექტივების, ქსელის და კვლევითი პროექტების საერთაშორისო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მეტად მიწოდება. მაგალითად, ინდივიდუალურმა კონსულტაციამ შეიძლება წაახალისოს სტუდენტები, ისარგებლონ საერთაშორისო შესაძლებლობებით.
- შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.
- აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.
- კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.
- სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.
- საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

3. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- მიზნებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების, კერძოდ, ქართულის, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების შესახებ შესაბამისი ცოდნის მიწოდებას.
- პროგრამა მეგრულ-ლაზური და სვანური ენების გრამატიკის უკვე არსებულ კურსებთან ერთად უნდა მოიცავდეს ქართული გრამატიკის კურსს.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.
- სილაბუსებში რეკომენდებული ლიტერატურა და მასალები უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული კურსების ძირითად შინაარსზე.
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განსაკუთრებით აფილირებული პერსონალის რაოდენობა.
- რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის).
- რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.

- ბიბლიოთეკამ და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა, რათა წაახალისონ სტუდენტები, გამოიყენონ ყველა შესაბამისი საინფორმაციო რესურსი, განსაკუთრებით თანამედროვე ციფრული რესურსები.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ბიუჯეტს ჰქონდეს რისკების მართვის გეგმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამის მიწოდებასთან დაკავშირებული რაიმე სერიოზული პრობლემა.
- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
- რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

რჩევები:

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.
- უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება.
- დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.
- სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
- სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.
- უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

- ჟურნალი „გულანი“, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.

- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.
- შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.
- აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.
- კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.
- სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.
- საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

4. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიტერატურის თეორიების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებში.
- დაკონკრეტდეს ცალკეულ სასწავლო კურსებში სავალდებულო და არჩევითის სტატუსები.
- რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახედვა სტრუქტურების რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების დუბლირება.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.

- ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნდა დაინერგოს ლიტერატურის თეორიების სასწავლო კურსი.
- რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის).
- რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.
- ბიბლიოთეკამ ხელი უნდა შეუწყოს მაგისტრანტების მიერ მონაცემთა ბაზებისა და სხვა ციფრული რესურსების გამოყენებას. ეს უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით.
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ხედვა და განხორციელების კონკრეტული გეგმა.
- პროგრამის ბიუჯეტი უნდა იყოს შემუშავებული მინიმუმ ისე, რომ ყველა ხარჯი დაიფაროს შემოსავლებით, ან ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ზომები.
- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
- რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

რჩევები:

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.
- უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება.
- დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.
- სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
- სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.
- უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. მ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.
- ჟურნალი „გულანი“, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.
- შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.
- აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.

- კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.
- სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.
- საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია /English Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 232, 04.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი/ Bachelor of English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	სიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქართული უნივერსიტეტის ქ N1. ქალაქი თელავი, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2200, საქართველო)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- თეა მჭედლურმა
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინგლისური ფილოლოგია" ხორციელდება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერისტეტის, ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტში ქართულ ენაზე 1997 წლიდან თავდაპირველად ,,ინგლისური ენისა და ლიტერატურის" სპეციალობის სახელწოდებით. 2011 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№232, 04.11.2011) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. რეაკრედიტაციისათვის მომზადების პროცესში პროგრამამ შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით განიცადა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და სხვ. კუთხით.
სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 20 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის

მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტს, რომელიც ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, მონაწილეები ესწრებოდნენ შეხვედრების კომბინირებული ფორმით, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ისევე, როგორც ექსპერტების უმეტესობა იმყოფებოდა ადგილზე, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, რამდენიმე კურსდამთავრებულის, სტუდენტისა და დამსაქმებლის ჩართვა განხორციელდა ონლაინ პლატფორმა Zoom-ის საშუალებით. ექსპერტები გაესაუბრნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების პროცესში მონაწილე ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პოტენციურ და არსებულ დამსაქმებლებს. ასევე, როგორც პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა, საგამოცდო და საკლასო ოთახები და სხვ.), გაესაუბრნენ მათზე პასუხისმგებელ პირებს და გამოითხოვეს კონკრეტული დოკუმენტაცია. სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მაძიებელ პერსონალს ვიზიტისა და მისი წინარე მუშაობისას პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნეს. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამაში ჩართულ ყველა პირს აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში კონსტრუქციული და მშვიდი თანამშრომლობისთვის.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნების ნაწილში სამიზნე ენობრივი კომპეტენციის დონის დაკონკრეტება ,,ენების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ CEFR (Common European Framework of Reference for Languages) მიხედვით.

2. რეკომენდებულია საერთაშორისო შრომითი ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების მეტად ასახვა შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტში,

3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას გამოიყენებოდეს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

4. მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების დროს.

5. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაცია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეტად უზრუნველსაყოფად; კონკრეტულად, დარგობრივ ინგლისურად დასახელებული სასწავლო კურსები- ,,ბიზნესის, ენა“, და ,,ტურიზმის ენა“

აისახოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ნაწილში. სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შემადგენელ კურსს ,,ლიტერატურული შედევრები და ფილმის სემინარი" შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი.

6. რეკომენდებულია პროგრამის შემადგენელი კურსების შინაარსის ასათვისებლად უახლესი ლიტერატურის მოძიება, არსებულ სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და მისი მაქსიმალურად ჩანაცვლება და გადახალისება უახლესი გამოცემებით.

7. საჭიროა, სსიპ - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაზუსტდეს და ჩასწორდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სახელწოდება.

8. რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განახლებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებაზე.

9. რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი შესაბამისი მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით. ასევე განიხილება სტუდენტებისთვის კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული და სათანადო მემორანდუმებით გამყარებული სავალდებულო პრაქტიკა/სტაჟირების ჩართვა პროგრამაში, რაც, ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

10. მიზანშეწონილია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობების შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად სწორად დაჯგუფება.

11. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით შეფასების რუბრიკებში გაიმიჯნოს განსხვავებები ქულობრივი გადანაწილებებისას.

12. რეკომენდებულია ,,ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის" სასწავლო კურსში დაიხვეწოს შეფასების რუბრიკების შინაარსობრივი ნაწილი.

13. რეკომენდებულია დარგობრივი ინგლისური (ბიზნესის ენა) და დარგობრივი ინგლისური (დიპლომატიის ენა) სასწავლო კურსებში სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის კუთხით შეფასების მეთოდებისა და ფორმების ისეთ შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი უნარების შემოწმებას.

14. რეკომენდებულია, პროგრამაში პერსონალის განმსაზღვრელი სტატუსები ,,მოწვეული დოქტორი", ,,მოწვეული მაგისტრი", ,,შტატის პედაგოგი" განიმარტოს და დარეგულირდეს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების ამსახველი დოკუმენტით.

15. რეკომენდებულია, დაიხვეწოს პერსონალის შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარი და მასში აისახოს არამხოლოდ განვლილი საგნის შეფასება, არამედ ისეთი კითხვებიც, რომლებიც ინფორმაციული იქნება პროფესორისა და მის მიერ საგნის სწავლების პროცესის შესაფასებლად, რაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას დაეხმარება პერსონალის განვითარების, დაწინაურებისა და წახალისების პროცესის ობიექტურად წარმართვაში

16. რეკომენდებულია გაცვლით პროგრამებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების პროცესში უფრო მეტი პერსონალის, მათ შორის მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის ჩართვა.

17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ იზრუნოს იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებასა და გაუმჯობესებაზე, რაც საჭიროა ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის

18. მიზანშეწონილია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში აღნიშნულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-5 კომპონენტთან მიმართებით განმარტა, რომ რაც შეეხება მე-5 კომპონენტს, დაწესებულება არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ აუცილებელია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტების მიერ კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსის შეფასება, ვინაიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია თვითშეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარებაზე, რაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს აძლევს საშუალებას იმოქმედონ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით. თუმცა, როგორც ინტერვიუების დროსაც აღინიშნა და დოკუმენტურადაც საბუთდება აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტში რეგულირდება ლექტორსა და სტუდენტს შორის. ლექტორი უკუკავშირის მიღების მიზნით კურსის ბოლოს ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, რასაც კურსის განმავითარებელი ხასიათი აქვს. ლექტორი, თუ საჭიროდ თვლის იმ შემთხვევაში, გამოკითხვის შედეგებს მიაწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პრობლემების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო კურსების და ზოგადად პროგრამის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ადამიანური რესურსების საქმიანობის შეფასების მიზნით, მოქმედებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას. ასევე ხდება სტუდენტთა გამოკითხვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის SWOT ანალიზის საფუძველზე მოხდა ბაზრის კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების ანალიზი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან (შრომის ბაზრის ანალიზი) ჩანს, ვაკანსიების მოძიება, შეჯერება და დამუშავება მოხდა არა მხოლოდ კახეთის რეგიონის, არამედ სრულიად ქვეყნის მასშტაბით, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი თანდართული მასალები (ვაკანტურ თანამდებობებთან დაკავშირებით) ე.წ. „სქრინშოტები“. კვლევის სანდოობისა და საბოლოო ჯამში რეალური სურათის მისაღებად, სამიზნე ნიშნულად ავიღეთ სწორედ ქვეყნის მასშტაბით კვლევა, ვინაიდან ბოლო 10 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენი კურსდამთავრებულების 85%-90% დასაქმებულია რეგიონის მასშტაბით, ხოლო დანარჩენი 10%-15% დედაქალაქსა თუ სხვა რეგიონებზე. სწავლების საფეხურის (ბაკალავრიატის) გათვალისწინებით, ნამდვილად არ დგება საერთაშორისო მასშტაბის კვლევის საჭიროება ამ ყველაფრიდან გამომდინარე.

რაც შეეხება რეკომენდაციას კვლევაში მეტი რესპოდენტის ჩართვასთან დაკავშირებით, აქაც ჩვენ გვაქვს მყარი არგუმენტი. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ორიენტირებულნი ვიყავით არა რესპოდენტთა რაოდენობაზე, არამედ ორგანიზაციების მრავალფეროვნებაზე. შესაბამისად, კვლევაში ჩავრთეთ საჯარო და კერძო სექტორები მუნიციპალიტეტის, საერთაშორისო ორგანიზაციის, მუზეუმების, დაცული ლანდშაფტების, ღვინის მარნების, ტურ-სააგენტოების, საჯარო სკოლების, სასტუმროების სახით, რაც უდაოდ ქმნის მრავალფეროვნების სურათს და იძლევა ბაზრის კვლევის სანდოობის კოეფიციენტს.

ინტერნაციონალიზაციისა და უცხოელი კოლეგების ჩართულობასთან დაკავშირებით, პროგრამა ნამდვილად სრულად პასუხობს აღიშნულ მოთხოვნას და, შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია ვერ მოხდება გაზიარებული ჩვენ მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ინსტიტუციებთან, კერძოდ ამერიკის საელჩოსთან (2014 წლიდან) და მშვიდობის კორპუსთან (2012 წლიდან) (იხ. აღნიშნულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

მოცემულ ეტაპზე პროგრამაში ჩართულია ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ პროექტ „ETA“-ს ფარგლებში უცხოელი (ამერიკა) კოლეგა - სამანტა კარლი, რომელსაც პარტნიორ პედაგოგებთან ერთად მიჰყავს არსებული საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსები: „მედიის ენა“, „საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი კურსი“. ამერიკის საელჩოს პროგრამის ფარგლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელი კოლეგების ვიზიტების შესახებ ინფორმაცია მომზადებულია ამერიკის საელჩოს მიერ, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ დოკუმენტს. ამასთანავე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელშეკრულების (ხელშეკრულება თან ერთვის აღნიშნულ დოკუმენტს) საფუძველზე, მომდევნო სემესტრიდან პროგრამაში ჩართული იქნება ამერიკელი პროფესორი, დოქტორი (ლინგვისტიკის მიმართულებით) - ჯონ ნიკერსონ ვენდელი

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის შეფასების ნიშნულები შეიძლება იყოს განპირობებული კომპლექსურად, რამდენიმე სასწავლო კურსის შედეგით, სხვადასხვა აქტივობებით, რომლებიც გაწერილია შესაბამის სილაბუსებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროგრამის სწავლის შედეგები იზომება სილაბუსში გაწერილი კონკრეტული დავალებების შეფასების მიხედვით.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვინაიდან ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, დახვეწა-სრულყოფა შეუძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო კოორდინირების გარეშე, რომლის ფარგლებში ხდება პროგრამასთან მიმართებაში ყველა სამართლებრივი დოკუმენტისა თუ ფორმის გაზიარება და ურთიერთშეჯერება.

დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს მე-5 რეკომენდაციას, შედეგად, „ბიზნესის ენა“ და „ტურიზმის ენა“ გადავა სავალდებულო ნაწილში, ხოლო „დიპლომატიის ენა“ დარჩება არჩევით ნაწილში, ვინაიდან სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არსებული სასწავლო კურსი „მედიის ენა“ შინაარსობრივად ითვალისწინებს პოლიტკური თემატიკის ამსახველ ტექსტებს ინგლისურენოვანი სტატიებისა და პოლიტიკურ დისკურსის - პოლიტიკოსთა წერილობითი გამოსვლების ე.წ. „სფიჩის“ სახით. ვინაიდან მედიის ენის მიზანს ასევე წარმოადგენს არა უშუალოდ ჟურნალისტური ხასიათის აქტივობების წარმართვა ლექციაზე, არამედ, ინგლისურენოვანი მედია-სივრცისთვის დამახასიათებელ დისკურსზე დაკვირვება, აღნიშნული საგნის საფუძველზეც, შესაძლებელია, იგივე და/ან მსგავსი კომპეტენციების გამომუშავება. პოლიტიკური დისკურსის გაღრმავებული შესწავლის სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა არჩევითი საგნების ჩამონათვალში აირჩიოს „დიპლომატიის ენა“.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სილაბუსებში ლიტერატურის ნაწილი უდაოდ განახლებულია და შესულია თანამედროვე ლიტერატურაც. რაც შეეხება „ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიას“, აქ ტექნიკური ხარვეზი ფიქსიდება. Lipka მითითებული უნდა იყოს დამატებით ლიტერატურაში, ვინაიდან, კვირეულ ჩაშლაშიც არსად არის მითითებული აღნიშნული ლიტერატურული წყარო. რაც შეეხება Arnold-ს, იგი კვლავ რჩება ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომად, სადაც სიღრმისეულად და გასაგებად არის განხილული სილაბუსით გათვალისწინებული კონკრეტული კვირეული საკითხები. ამასთანავე, მისი ენორბივი ქარგა თავისუფლად გამოსაყენებელია B2 დონეზე და ადვილად დასაძლევი საბაკალავრო დონის სტუდენტების მხრიდან. აღნიშნულ ავტორთან ერთად, ძირითადი ლიტერატურის ნუსხაში შესულია თანამედროვე ლიტერატურაც. სასწავლო კურსის „ენათმეცნიერების შესავალი“ სილაბუსთან დაკავშირებით, აგრეთვე, ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი. აღნიშნული კურსი, ერთ-ერთ წამყვან საგნად იკითხება „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც პარალელურ რეჟიმში გადის აკრედიტაციას და სრული პაკეტი უკვე გადაგზავნილია ექსპერტებთან. შესაბამისად, აღნიშნულ პაკეტში დევს სილაბუსი განახლებული თანამედროვე ლიტერატურის მითითებით. იგივე სილაბუსი გაზიარებული იყო ჩვენი პროგრამის ფარგლებშიც, თუმცა, როგორც იკვეთება, ტექნიკური ხარვეზის გამო, ჩვენ დოკუმენტაციის

პაკეტში წარმოდგენილია ლიტერატურის არასრული შემადგენლობა, რომელიც ტექნიკურად უკვე გასწორებულია და ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში დამატებულია ახალი. იგივე ითქმის „ლიტერატურის თეორიაში“, სადაც წამყვან ლიტერატურაში ფიგურირებს როგორც ძველი, მაგრამ სტრატეგიულად საჭირო და ღირებული ლიტერატურა, აგრეთვე თანამედროვე ლიტერატურაც.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, მოცემულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისად, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ უნივერსიტეტის ანკეტა-კითხვარსა და სხვა საინფორმაციო პორტალებზე მოხდება ახალი ინფორმაციის ასახვა. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი პროგრამის ფარგლებში არ იყო გამიჯნული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, შესაბამისად არ არის ვებ-გვერდზეც ასახული. ახალი პროგრამის „ინგლისური ფილოლოგია“ ფარგლებში უკვე გამიჯნულია მიღების წინაპირობა, რომელიც აუცილებლად აისახება ვებ-გვერდზე პროგრამის აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ
მნიშვნელოვანია ასევე მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების მოსაზრება, კერძოდ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს უნივერსიტეტი, რადგან კურიკულუმში წარმოდგენილი საგნების უმეტესობა დიდწილად პრაქტიკულ ხასიათისაა, რომელიც ითვალისწინებს ენის დონის ამაღლებას და ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას, რომელიც პრაქტიკული დავალებების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. ამასთანავე, კურიკულუმში შემავალ აბსოლუტურად ყველა სილაბუსში გათვალისწინებულია პრაქტიკული ნაწილი პრეზენტაციებისა და ზეპირი გამოკითხვების სახით. ყოველივე ეს, კი ქმნის პრაქტიკული კომპონენტების გამყარების შესაძლებლობას. რაც შეეხება პრაქტიკა/სტაჟირების ნაწილს, ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან არ დგას ამისი საჭიროება და ამასთანავე, ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში პრაქტიკა/სტაჟირება შემოტანილია არა სავალდებულო სტატუსის რანგში, არამედ ერთ-ერთი ალტერნატივად. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა კი არ იზიარებს ამის საჭიროებას მოცემულ შემთხვევაში.
დაწესებულება ასევე არ ეთანხმება მე-13 რეკომენდაციას, რადგან სწორედ ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად ნაშრომში შეფასების თითოეული კომპონენტი გაწერილია ერთ ბიჯიანი შეფასების რუბრიკებით
ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ზეპირი აქტივობა სამ ქულიანია, შესაბამისად თუკი სტუდენტი ფლობს გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ შეინიშნება გარკვეული უზუსტობები და არ ავლენს საკითხის ფართო ცოდნას, შესაბამისად, ვთვლით, რომ პასუხი დამაკმაყოფილებელი შესაძლოა იყოს, რაც ბუნებრივია სამქულიან შეფასების შკალაზე უთანაბრდება 2 ქულას.
მნიშვნელოვანია ასევე მე-17 რეკომენდაცია კერძოდ, აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რადგან როგორც ექსპერტებს ვიზიტის დროს განემარტათ, უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის შეფასების მრავალკომპონენტიანი სქემა, რომელიც არის სავალდებულო. რიგ შემთხვევაში, ეს არის HR-ის პრეროგატივა, და რიგ შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივა (იხ. ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები); აღნიშნული წესის მიხედვით გაწერილია როგორც შეფასების კომპონენტები, ასევე შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები.
ამასთან, რადგან, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა ერთ-ერთი მოწინავე პროგრამაა შინაარსის გათვალისწინებით, რომლის მონაწილე პერსონალი თუ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი გაცვლით პროგრამებსა თუ პროექტებში. ამას მოწმობს პერსონალთა CV-ები და პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები, რომლებიც გადმოგზავნილი იყოს ყველა სხვა დოკუმენტაციასთან ერთად.
როგორც ვიზიტის დროს დაფიქსირდა, უნივერსიტეტში მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება-გაუმჯობესება. მოცემული ეტაპისთვის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სტუდენტებისთვის განკუთვნილია ისეთი

სააუდიტორიო სივრცეები (ლინგაფონის კაბინეტი, ფრანკოფონიის კაბინეტი, ტემპუსის ოთახი...), სადაც შესაბამისია მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც და აღჭურვილია სმარტ-ბორდებით, პროექტორებით და კომპიუტერებით. რაც შეეხება თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, იმისათვის რომ მივაღწიოთ სწავლის შედეგებს, მიგვაჩნია, რომ მათი გამოყენება სრულიად შესაძლებელია ჩვენს სააუდიტორიო სივრცეში და მათ აქტიურად ვიყენებთ. თანამედროვე სამყაროში, შესაძლებელია ონლაინ აპლიკაციებით მუშაობა, როგორც კომპიუტერული ტექნიკის, ისე მობილური მოწყობილობების საშუალებით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა პრაქტიკის კომპონენტი და დააზუსტა თუ რამდენად არის შესაძლებელი ინსტიტუციის დავალდებულება, რომ პროფესიული პრაქტიკა შემოვიდეს სავალდებულო სახით, ვინაიდან დარგობრივი სტანდარტი მსგავს მოთხოვნას არ აწესებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა დასკვნაში მოცემული რეკომენდაცია - რეკომენდებულია გაცვლით პროგრამებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების პროცესში უფრო მეტი პერსონალის, მათ შორის მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის ჩართვა და დააზუსტა აღნიშნული რჩევა უფროა თუ რეკომენდაცია, რადგან ხაზგასმულია, რომ საჭიროა უფრო მეტი ან რაღაც პრაქტიკა დაფიქსირდა. ამასთან აღსანიშნავია მე-5 კომპონენტი, ამ შემთხვევაშიც უნივერსიტეტს აქვს გარკვეული მექანიზმი შემუშავებული, შესაბამისად რატომ დაისვა საკითხი და დაფიქსირდა თუ არა რაიმე ხარვეზი ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პრაქტიკის ნაწილში დავალდებულება შეუძლებელია სწორედ ამიტომ დასკვნაში მითითებული იქნა ალტერნატიულად. პროგრამაში რომ არ გამოკვეთილიყო პრაქტიკული კომპონენტის არსებობა, შესაძლებელია მხოლოდ გაძლიერება მითითებულიყო. ამასთან, ასევე პრობლემაა შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ნამდვილად არის პრაქტიკის გაძლიერება მაინც საჭირო.

რაც შეეხება 4.3 კომპონენტს, კერძოდ ტერმინოლოგიის საკითხს, აღნიშნული არ ეხება მხოლოდ ერთ სილაბუსს, თავად მოწვეულმა ლექტორებმაც აღნიშნეს, რომ იყო გარკვეული ბუნდოვანებები.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პერსონალის პროექტებში ჩართვასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტებს მიაწოდა ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი დოკუმენტი, რომელშიც არის ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირებული გაცვლით პროგრამებში მონაწილე 10 პერსონალი. შესაბამისად, პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ამ საკითხზე კვლავ მუშაობა.

აღსანიშნავია ასევე 5.3 კომპონენტი, კერძოდ დაწესებულებას აქვს მექანიზმი, თუმცა აღნიშნულს არ აქვს სავალდებულო ხასიათი და არის ნებაყოფლობითი. ვიზიტის დროს არანაირი ხარვეზი არ გამოვლენილა, პრობლემა იყო მხოლოდ მექანიზმთან დაკავშირებით.

ამასთან ექსპერტმა ისაუბრა პერსონალის სტატუსებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ შენიშვნა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების მიმართ ამ ნაწილში გააჩნია, ეხება პერსონალის სტატუსის ტერმინოლოგიურ ფორმულირებას; კერძოდ, დოქტორის აკადემიური ხარისხის აღსანიშნად დოკუმენტში ,,ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ" გამოყენებულია 46 ტერმინი ,,ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი", რაც, ცხადია, გულისხმობს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუმცა, სასურველია განიმარტოს. გარდა ამ კონკრეტული შემთხვევისა, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულება მოწვეული პერსონალის სტატუსის განსაზღვრისას იყენებს ისეთ ტერმინოლოგიას, როგორიც არის "მოწვეული დოქტორი", "მოწვეული მაგისტრი", "შტატის პედაგოგი". აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანია, გაუგებრობას იწვევს და ართულებს პერსონალის კომპეტენციის შეფასების პროცესს, მითუფრო მაშინ, როცა პროგრამის განმახორციელებელი

პერსონალის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ამგვარი სტატუსების მინიჭებისა და გამოყენების რაიმე სახის მარეგულირებელი დოკუმენტი არ იძებნება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამგვარი სტატუსების გამოყენება პერსონალთან მიმართებით საჭიროებს განმარტებას, რაც უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დოკუმენტში გაიწერება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რაც შეეხება მე-4 კომპონენტს, პერსონალის განმსაზღვრელ სტატუსებში ფიქსირდება ერთადერთი უმნიშვნელო ხარვეზი. კერძოდ, ნაცვლად „მოწვეული მაგისტრისა“ და „შტატის პედაგოგისა“ უნდა იყოს „მოწვეული მასწავლებელი“ და “შტატის მასწავლებელი“. დანარჩენი წარმოდგენილი სტატუსები რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და, შესაბამისად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება #2.201 შესაბამისად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:15
დასრულების დრო: 18:30

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული შეფასება, კერძოდ 1.3. კომპონენტი შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან”, 2.1. და 4.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, ხოლო 5.1. კომპონენტის შეფასება ნაცვლად “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, რამაც გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა როგორც - “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”. რის საფუძველზეც შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და გახდა “მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან”.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- ● მიზანეწონილია, პროგრამის მიზნების ნაწილში სამიზნე ენობრივი კომპეტენციის დონის დაკონკრეტება ,,ენების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ CEFR (Common European Framework of Reference for Languages) მიხედვით.
- ● რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაცია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეტად უზრუნველსაყოფად; კონკრეტულად, დარგობრივ ინგლისურად დასახელებული სასწავლო კურსები - ბიზნესის და ტურიზმის ენა- აისახოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ნაწილში.
- სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შემადგენელ კურსს ,,ლიტერატურული შედევრები და ფილმის სემინარი” შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი.
- რეკომენდებულია, პროგრამის შემადგენელი კურსების შინაარსის ასათვისებლად უახლესი ლიტერატურის მოძიება, არსებულ სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა, და მისი მაქსიმალურად გადახალისება უახლესი გამოცემებით.
- რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი შესაბამისი მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.
- რეკომენდირებულია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობების შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად სწორად დაჯგუფება.
- რეკომენდებულია ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის’ სასწავლო კურსში დაიხვეწოს შეფასების რუბრიკების შინაარსობრივი ნაწილი.
- რეკომენდებულია დარგობრივი ინგლისური (ბიზნესის ენა) და დარგობრივი ინგლისური (დიპლომატიის ენა) სასწავლო კურსებში სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის კუთხით შეფასების მეთოდებისა და ფორმების ისეთ შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი უნარების შემოწმებას.
- რეკომენდებულია, პერსონალის შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარი დაიხვეწოს და მასში აისახოს არამხოლოდ განვლილი საგნის შეფასება, არამედ ისეთი კითხვებიც, რომლებიც ინფორმაციული იქნება პროფესორისა და მის მიერ საგნის სწავლების პროცესის შესაფასებლად რაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას დაეხმარება პერსონალის განვითარების, დაწინაურებისა და წახალისების პროცესის ობიექტურად წარმართვაში.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებასა და გაუმჯობესებაზე, რაც საჭიროა ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
- მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების დროს.
- რეკომენდებულია ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

ჩევები:

- რეკომენდებულია საერთაშორისო შრომითი ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების მეტად ასახვა შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტში.
- სასურველია, შრომითი ბაზრის კვლევის პროცესში მეტი რესპონდენტის ჩართვა, რაც მეტად უზრუნველყოფს რეალური და ობიექტური სურათის შექმნას.
- სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი მუშაობა გრძელვადიანი და მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება/გამყარების კუთხით, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეტი სტუდენტისათვის საერთაშორისო გამოცდილების შესაძლებლობის მიცემას.
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში ინტერნაციონალიზაციის საკითხების მეტად ასახვა, კონკრეტულად, მეტი სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე შეთავაზება.
- სასურველია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულების ყველა აქტიურ და პოტენციურ დამსაქმებლებთან მემორანდუმების გაფორმება.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებლმა პერსონალმა ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის შესაბამისი კონკრეტული მაგალითები გამოიყენოს შემთხვევის ანალიზის მეთოდის აღწერისას.
- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით შეფასების რუბრიკებში გაიმიჯნოს განსხვავებები ქულობრივი გადანაწილებებისას.
- სასურველია, პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში საბაკალავრო ნაშრომის არჩევასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ტექნიკური სახის ხარვეზის შემცველი ფრაზა ,,ქართული ფილოლოგიის სფერო" ჩასწორდეს და შესაბამისად ჩანაცვლდეს ,,ინგლისური ფილოლოგიის დარგით".
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ადგილობრივი და უცხოელი სპიკერებს ხშირად მოწვევა საჯარო ლექციების ჩასატარებლად, რაც სტუდენტებს კომუნიკაციური უნარების გაძლიერებაში დაეხმარება.
- რეკომენდებულია, პროგრამაში პერსონალის განმსაზღვრელი სტატუსები ,,მოწვეული დოქტორი", ,,მოწვეული მაგისტრი", ,,შტატის პედაგოგი" განიმარტოს და დარეგულირდეს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების ამსახველი დოკუმენტით.
- სასურველია პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის.
- სასურველია, პროგრამის უცხოურ ანალოგებთან დადარების ანალიზს მიეცეს მეტად კვლევითი ხასიათი, ვიდრე ფორმალურ-სქემატური და მასში დეტალურად და დაწვრილებით აღიწეროს თითოეულ ანალოგთან პროგრამის დადარების ანალიზის შედეგები, რაც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, გაუადვილებს საერთაშორისო გამოცდილების მიზნობრივად გაზიარებას.
- სასურველია, სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით ან სტუდენტთა გამოკითხვის არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

5. მეხუთე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 1432682; 29/12/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი / Bachelor of International Relations
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის N 10; ქ. თბილისი 0160.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 28 დეკემბერს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა რიგი ცვლილებები. სამუშაო ჯგუფი შედგება დაწესებულების პრორექტორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განვითარების კომისიის წევრების, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ა.შ. ჯგუფი გაეცნო საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილა თითოეული მათგანი, მოახდინა ადექვატური ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში. წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება რომ დაწესებულებამ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები შეასრულა, ხოლო ის რეკომენდაციები, რომელიც ნაწილობრივ შეასრულა წარმოადგინა დასაბუთებული, არგუმენტირებული მოსაზრებები, რაც ექსპერტთა მიერ იქნა გაზიარებული.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშით ჩანს მოცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ნაწილობრივ შესრულდა. დაწესებულება წარმოდგენილ ანგარიშში მიუთითებს ცვლილება შეეხო მხოლოდ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და ის შესაბამისობაშია სასწავლო კურსის დასახელებას, მიზანს, შინაარსსა და სწავლის შედეგებთან და ამავე დროს პასუხობს დარგის მოთხოვნებს. სილაბუსის შესწავლამ აჩვენა რომ სასწავლო კურსის დასახელება, მიზნები, შინაარსი, მეთოდები და სწავლის შედეგები, ლიტერატურა სრულ კორელაციაშია ერთმანეთთან და პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს და სწავლის შედეგებს, ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დარგი კვლევის მეთოდებად იყენებს ყველა სოციალური კვლევის მეთოდს. შესაბამისად მისაღებია დაწესებულების არგუმენტაცია და რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და შესაბამისად განახორციელა აუცილებელი ცვლილებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19;00
დასრულების დრო: 19:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

6. მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.12.2022 ; MES 4 21 0001351420
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - საჯარო მმართველობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0105, თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. N9; საქართველო, 0114, თბილისი, გორგასლის ქ. N101
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულებამ სრულად შეასრულა რეკომენდაციები და პროგრამაში განახორციელა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ დაზუსტდა კვლევის თემატიკა და ის შესაბამისობაში მოვიდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დააზუსტა, როგორც სემინარი I შინაარსი, ასევე გაამდიდრა პროგრამა შესაბამისი სფეროს მიკუთვნებული არჩევითი საგნით და უზრუნველყო ტანდემური ლექციების ფორმატში კურსის განხორციელება. მესამე სტანდარტის 3.2 კომპონენტთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ მოიზიდა ახალი კადრები და ამით ხელი შეუწყო საკვლევი თემატიკის გამრავალფეროვნებას. მე-4 სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტებთან მიმართებით წარმოდგენილი ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ცხადყოფს რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა შესაბამისი რეკომენდაციები არამარტო პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფით არამედ პროგრამაზე შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე ახალი პერსონალის მოწვევით. რაც შეეხება მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტს უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ დანერგა შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმი და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენს პროგრამის შემდგომი განვითარების პერსპექტივების დასახვას. შესაბამისად, დაწესებულებამ შეასრულა დასკვნაში არსებული ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აქტიურად გაიზიარა რეკომენდაციები და გაატარა შესაბამისი ცვლილებები. აკრედიტაციის მინიჭებიდან 1 წლიან საანგარიშო პერიოდში საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის გაძლიერებისა და სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მქონე დამატებითი პერსონალის მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტმა აწარმოა ახალი კადრების მოზიდვის სტრატეგია, რომლის პირობებშიც, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამასთან ამჟამად უკვე ასოცირებულია 4 საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის და 1 საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის საძიებლად წარდგენილი და დადებითად შეფასებული დისერტაციების ავტორი გერმანიის საჯარო მმართველობის მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან (შპაიერი). საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამასთან ასოცირებული ადამიანური რესურსების სამეცნიერო-კვლევითი რელევანტური გამოცდილებების მეტად გამოსაკვეთად მოხდა საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელთა სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის მაჩვენებლების,

როგორც ცალკე დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ადასტურებს, რომ პროგრამა ხორციელდება სათანადოდ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალის მეშვეობით.
ამასთან, რეკომენდაციის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი გამდიდრდა არჩევითი სტატუსის მქონე დამატებითი 10 კრედიტის მოცულობის საგნით, რომლის მიზანია სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტთა კიდევ უფრო მეტად მხარდაჭერა შესაბამისი საკითხების კვლევის კონცეპტუალური, თეორიული და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების წარმოდგენით. კურსზე მუშაობის პირობებში სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან აქტიური კონსულტაციებისა და რამდენიმე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვით, კურსი შეთავაზებული იქნება ე.წ. ტანდემური ლექციების სახით, რომელშიც ჩართული იქნებიან სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური პირები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა თუ როდის ხდება ნაშრომის ხელმძღვანელისა და ნაშრომის სათაურით დამტკიცება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩარიცხვის შემდგომ განსაზღვრულია სამი თვე როდესაც, ხდება სტუდენტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოძიება. უბრალოდ პირველ წელს, როდესაც სასწავლო კომპონენტი მიდის აქტიურად, დგინდება ხელმძღვანელის ვინაობა და ინიშნება მასთან კონსულტაცია და შეხვედრა, სავარაუდო საკვლევ თემასთან დაკავშირებით. პირველი სამი თვის შემდგომ კი ხდება ხელშეკრულების გაფორმება ხელმძღვანელებთან, ხოლო კვლევაზე მუშაობა იწყება მესამე სემესტრის ბოლოდან სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:45
დასრულების დრო: 20:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: .ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

7. მეშვიდე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი / Bachelor of International Relations
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები Political Sciences and Civics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13კმ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- გოდერძი ბუჩაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გარდა გაითვალისწინა ზოგიერთი რჩევაც. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევებიდან ნაწილის შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა თითოეული რჩევა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მოახდინა ზოგიერთი ადექვატური ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში. ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება რომ დაწესებულებამ სრულად შეასრულა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა რეკომენდაციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:28
დასრულების დრო: 20:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 10 თებერვლის 20:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე გურანდა